21.01.2019

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის დეკემბერი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0,9 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასები გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე 1,0 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის ჯგუფზე 0,5 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 5,3 პროცენტით. ფასების 3,2 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე. ფასები 15,4 პროცენტით გაიზარდა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის ჯგუფზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასების 3,4 პროცენტიანი მატება დარეგისტრირდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის დეკემბერში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის დეკემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**105.3**	**5.34**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**103.4**	**0.13**
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**103.2**	**2.51**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	103.9	1.49
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**115.4**	**2.69**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge